ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 15-62

"23" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში (ვებგვერდი, 06/01/2015; სარეგისტრაციო კოდი 330130000.35.101.016104) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქალაქო სასაფლაოებზე, ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტში მითითებულ უფლების განხორციელებისას, ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოს ზედამხედველობა, წესრიგში იქონიოს და მოუაროს სასაფლაოს, საფლავს, ძეგლს და სხვა; აკრძალოს არასახელშეკრულებო ურთიერთობა, გარდა არაკომერციული, უსასყიდლო, ერთჯერადი საქმიანობის განხორციელების შემთხვევისა. ".

2. მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. სამარის გათხრის უფლება აქვს მხოლოდ ოპერატორს. გამონაკლის შემთხვევებში:

ა) სამარის გათხრა შესაძლებელია განხორციელდეს ოპერატორის მიერ საკუთარი ხარჯებით (ეპიდემიის გავრცელება, სტიქიური უბედურება და სხვა);

ბ) თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქალაქო სასაფლაოებზე, სამარის გათხრა შესაძლებელია განხორციელდეს, ჭირისუფლის მიერ საკუთარი რესურსით, ოპერატორისადმი განცხადებით მიმართვისა და შესაბამისი გარდაცვალების მოწმობის ან გარდაცვალების დამდგენი სხვა დოკუმენტის საფუძველზე.".

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს მოქმედ წესში. პროექტით, ოპერატორი საქალაქო სასაფლაოების ტერიტორიაზე ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს სხვადასხვა ქმედებებს, შეასრულებს სამუშაოებს და ზედამხედველობას გაუწევს, რათა წესრიგში იქონიოს ან მოუაროს სასაფლაოს, საფლავს, ძეგლს და სხვა, ამასთან, სხვა სახის ურთიერთობა (არასახელშეკრულებო ურთიერთობა) აიკრძალება. ასევე, სამარის გათხრის უფლება, გამონაკლის შემთხვევებში, თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით, განხორციელდება ჭირისუფლის მიერ საკუთარი რესურსით ოპერატორის მიერ განცხადების რეგისტრაციის და შესაბამისი გარდაცვალების მოწმობის (გარდაცვალების დამდგენი სხვა დოკუმენტის მაგ.: სამედიცინო ცნობის, ექსპერტიზის აქტის და მისთ.) საფუძველზე, რაც გარდაცვლილის ჭირისუფალს მისცემს ალტერნატივის საშუალებას სამარის გათხრა განახორციელოს თვითონ ან ოპერატორის მეშვეობით.

პროექტით, საქალაქო სასაფლაოებზე დგინდება სხვადასხვა სამუშაოებისა და მომსახურებების სახელშეკრულებო ურთიერთობებით განხორციელება/ზედამხედველობა ოპერატორის მიერ. ასევე, სხვადასხვა საქალაქო სასაფლაოებზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული წესის შესაბამისად ჭირისუფლისათვის სამარის გათხრაზე ალტერნატივის უფლების მინიჭება. აღნიშნული გამომდინარეობს მომსახურებების სახელშეკრულებო ურთიერთობებით მოწესრიგებისა და ჭირისუფალთათვის დაკრძალვასთან დაკავშირებული მომსახურების მიღების ალტერნატიული საშუალებების გამოყენების უფლების მინიჭების გამო.

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს დედაქალაქში სარიტუალო მომსახურების მოწესრიგება–გაუმჯობესებას.

პროექტი იძლევა საშუალებას სახელშეკრულებო ურთიერთობით მოწესრიგდეს და გაკონტროლდეს სხვადასხვა სამუშაოების შესრულება საქალაქო სასაფლაოებზე, ასევე, ჭირისუფალს მიეცემა შესაძლებლობა სამარის გათხრასთან დაკავშირებული სერვისით ისარგებლოს ოპერატორის მომსახურებით ან თვით შეასრულოს ასეთი სამუშაოები.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.